



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაბუკაშვილი ოლღა ვარდენის ასული



ო. თაბუკაშვილი.

თაბუკაშვილი ოლღა ვარდენის ასული (13. III. 1934, თბილისი, - 4. XII. 2006, იქვე), კინომცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (2006), საქართველო ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1955) და რსფსრ მეცნ. აკად. ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა (1968). 1957-68 იყო გაზეთ „მლოდიოჟ გრუზიის“ კულტ. განყოფილების გამგე. 1970-იდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედ. და სამეცნ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტში. არის ავტორი მრავალი კრიტ. წერილისა და სამეცნ. გამოკვლევისა ქართ. და მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. საქართველო კინემატოგრაფისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1984). 1984 საქართველოში დასახელებული იყო წლის საუკეთესო კინოკრიტიკოსად.

თხზ.: ნიკოლოზ შენგელაია, თბ., 1974; Софико Чиаурели, М., 1968.

მ. კერესელიძე
